

სს „საქართველოს ბანკისა“ და “საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის” ერთობლივი პროექტი

საქართველოს წამყვანმა უნივერსალურმა ბანკმა, სს „საქართველოს ბანკმა“ (GSE: GEB) დღეს „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან” ერთობლივი პროექტის დაწყების შესახებ განაცხადა. პროექტი გულისხმობს საქართველოს ეროვნული ნაკრების „ფან-კლუბიში“ გაწევრიანების მსურველთა რეგისტრაციის პროცესის უზრუნველყოფასა და გაწევრიანებულ გულშემატკივრებზე შესაბამისი საწევრო ბარათების გაცემას.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ნებისმიერ გულშემატკივარს, 15 აგვისტოდან უკვე აქვს შესაძლებლობა მიბრძანდეს „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ სერვის-ცენტში, აირჩიოს „ფან-კლუბის“ სამი არსებული საწევრო პაკეტიდან მისთვის სასურველი ვარიანტი და გახდეს კლუბის სრულუფლებიანი წევრი. გაწევრიანების შემდეგ გულშემატკივრები მიიღებენ წევრობის დამადასტურებელ საიდენტიფიკაციო „პლატინის“, „ოქროს“ ან „ვერცხლის“ ბარათს, (ბარათის ტიპი დამოკიდებულია მსურველის არჩევანზე) საწევრო პაკეტით განსაზღვრულ ფასდაკლებებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყველა ლიცენზირებულ პროდუქტზე და ექსკლუზიური პირობებით სარგებლობის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ დამატებით „საქართველოს ბანკი“ „ფან-კლუბის“ თითოეულ წევრს საჩუქრად გადასცემს საერთაშორისო საბანკო პლასტიკურ ბარათს. გარდა ამისა, კომპანია „გრინნეტის“ ხელშეწყობით და „ფან-კლუბის“ წევრობის დამადასტურებელი ბარათის უნიკალური კოდის მეშვეობით „ფან-კლუბის“ წევრები შეძლებენ უსასყიდლოდ გახსნან მხოლოდ „ფან-კლუბის“ წევრთათვის გამიზნული ელექტრონული ფოსტის მისამართი.

„ამ პროექტის განხორციელებით ჩვენ გვსურს ჩვენი წვლილი შევიტანოთ საქართველოში საფეხბურთო გარემოს გაჯანსაღების საქმეში. „საქართველოს ბანკს” განსაზღვრული აქვს, რომ “ფან-კლუბის” წევრებს სამომავლოდ არა ერთი საინტერესო სიურპრიზი შესთავაზოს. ამავდროულად, ამ პროექტის განხორციელებით “საქართველოს ბანკს” ეძლევა შესაძლებლობა, მოიზიდოს და კონტაქტი დაამყაროს ახალ კლიენტურასთან“, აღნიშნა „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, *ლადო გურგენიძემ*.

„საქართველოს ბანკის“ შესახებ:
სს „საქართველოს ბანკი“ ქვეყანაში წამყვანი უნივერსალური ბანკია. ბანკს გააჩნია სამომხმარებლო საბანკო პროდუქტების ფართო სპექტრი, რომელთა გაყიდვა და გავრცელება ხდება ბანკის ფილიალების ფართო ქსელის მეშვეობით. ბანკი კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს კომერციულ და საინვესტიციო საბანკო მომსახურების ფართო არჩევანს. ამასთანავე, ბანკის მიერ შესყიდული სადაზღვევო კომპანია „ბისიაი“ კორპორაციებს და ფიზიკურ პირებს (ახალი ბრენდის *ჩემების* მეშვეობით) სადაზღვევო პროდუქტების ფართო სპექტრს სთავაზობს. 2006 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ბანკის აქტივებმა 756.1 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალი 118.8 მილიონ ლარს გაუტოლდა. 2006 წლის პირველ ნახევარში ბანკის კონსოლიდირებულმა წმინდა მოგებამ 9.4 მილიონი ლარი შეადგინა. ბანკს გააჩნია B-/B; პოზიტიური პერსპექტივა „FitchRatings“-გან, B3/NP უცხოური ვალუტის და Baa3/P-3 ადგილობრივი ვალუტის რეიტინგები სტაბილური პერსპექტივით „Moody’s“-გან და B+/B; სტაბილური პერსპექტივა „Standard & Poor’s”-გან.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	+995 32 444 103	lgurgenidze@bog.ge
ირაკლი გილაურს, გენერალური დირექტორი	+995 32 444 109	igilauri@bog.ge
ირაკლი ბურდილაძეს, გენერალური დირექტორის მოადგილე	+995 32 444 111	iburdiladze@bog.ge
მაკა ეკიზაშვილს, ინვესტორებთან ურთიერთობების ხელმძღვანელი	+995 32 444 256	ir@bog.ge